ოქმი:ო135. 13524332001
თარიღი:27/11/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-12

დ. მესტია 25.11. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. ცინდელიანი, შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u>

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ, ფილფანი. ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, მ. პაკელიანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, მ .გელოვანი. ლ. ქალდანი. მ. გოშუანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვ. გულედანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თ. გოშთელიანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 18 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახე“.

/მომხსენებელი: ს. კვიციანი. თანამომხსენებელი რ. გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით

ფ/პ სოსო ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ გიორგი ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

/მომხსენებელი: ვ.გულედანი; თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ:

42.06.40.069-ზე არსებული 18.85 კვ.მ ფართის ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის” უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი; თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტში – დაბა მესტიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საბავშვო ბაღების, სპორტ დარბაზების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების მონიტორინგის შესახებ“.

/მომხსენებელი: მ. ხორგუანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------18
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135243304 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“.

მომხსენებელმა ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყო შემოსულობებით, 2025 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 23 307,4 ათ.ლარით; გადასახდელები 23 307,4 ათ.ლარით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 237.3 ათ.ლარით. მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი 237.3 ათ.ლარი. სარეზერვო ფონდი 300,0 ათ.ლარით.

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6 000ათას ლარს; 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 34%-ით (3 100 ათასი ლარით) მცირდება, რაც გამოწვეულია სახელმწიფო აუდიტის მიერ ქონების გადასახადის ძირითადი გადამხდელის „ნენსკრა-ჰიდრო“-ს ქონების ჩამოფასებით.

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 43%-ით (4 571.7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ისაუბრა გრანტებზე და სხვა შემოსავლებზე. აგრეთვე მუხლობრივად განმარტა სხვადასხვა ორგანიზაციებში 2025 წელს მოსალოდნელი ცვლილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანი-კომისიამ განიხილა პროექტი, მიიღო რეკომენდაციები და შენიშვნები, გააცნო დამსწრე საზოგადოებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რეკომენდაციების და შენიშვნების მითითებებით მესტიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდეს მერიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ სოსო ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი წარმოდგენილი იყო წინა სხდომაზე, არასრული დოკუმენტაციის გამო ვერ დამტკიცდა საკითხი, დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა წინა სხდომაზე მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანი-- კომისიამ განიხილა საკითხი, ადგილზე მისვლით დაათვალიერა და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნაგობის უფლებით გადაეცეს გ. ჯაფარიძეს მიწის ნაკვეთი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს

წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ სოსო ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135. 135243301 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ გიორგი ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი წარმოდგენილი იყო წინა სხდომაზე, არასრული დოკუმენტაციის გამო ვერ დამტკიცდა საკითხი, დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა წინა სხდომაზე მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანი-- კომისიამ განიხილა საკითხი, ადგილზე მისვლით დაათვალიერა და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნაგობის უფლებით გადაეცეს გ. ჯაფარიძეს მიწის ნაკვეთი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------19
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით ფ/პ გიორგი ჯაფარიძისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № გ-135. 135243302 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ვ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ:

42.06.40.069-ზე არსებული 18.85 კვ.მ ფართის ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის” უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნოტარიუსსა და სახალხო დამცველის საოფისე ფართობის გადანაცვლების გამო საჭიროებს საკრებულოს განკარგულება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ: 42.06.40.069-ზე არსებული 18.85 კვ.მ ფართის ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № g-135. 135243303 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხორგუანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მესტიის მუნიციპალიტეტში – დაბა მესტიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საბავშვო ბაღების, სპორტ დარბაზების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების მონიტორინგის შესახებ".

მომხსენებელმა ანგარიში წარმოადგინა პოვერპოინტის ფორმით. აღნიშნა რომ, 2024 წლის ოქტომბერში საკრებულოს წევრთა (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაურ ჩართოლანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია ხორგუანი, საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შორენა ცინდელიანი) მიერ დათვალიერებული იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში – დაბა მესტიასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ობიექტები: საბავშვო ბაღები, სპორტ დარბაზები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები. ისაუბრა დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე, რომელიც მრავლადაა აღნიშნულ ობიექტებში და საჭიროებს მიხედვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი-- ბიუჯეტის რეკომენდაციებში და შენიშვნებში ერთერთ მუხლად ჩაიწეროს ამ პრობლემების მოგვარების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------18
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი